

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №265

2017 წლის 29 მაისი

ქ. თბილისი

### მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

#### მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა.

#### მუხლი 2

ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთვის „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (პროგრამული კოდიდან: 31 06 05).

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 ივლისის დადგენილება №316 – ვებგვერდი, 04.07.2017წ.*

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

#### მუხლი 2<sup>1</sup>

დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მოიძიოს შესაბამისი რესურსი მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ასიგნებების გაზრდის მიზნით.

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 ივლისის დადგენილება №316 – ვებგვერდი, 04.07.2017წ.*

#### მუხლი 3

დაევალოს ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება, ხოლო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და სსიპ – ეროვნულ საშენ მეურნეობას – ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

#### მუხლი 4

ეთხოვრთ ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტებს პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

#### მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

### მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) წარმოადგენს მაღალმთიან რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერის ერთ-ერთ ღონისძიებას.



## 2. პროგრამის მიზანია მაღალმთიან რეგიონებში:

- ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბებისა და საძოვრების რაციონალურად ათვისება;
- ბ) მესაქონლეობის განვითარების ხელშეწყობა;
- გ) მსხვილფეხა პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიშების შერჩევა და აპრობირება;
- დ) ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;
- ე) წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება;
- ვ) მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მიგრაციის შეჩერების ხელშეწყობა.

## მუხლი 2. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
2. პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

- ა) **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი** – იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და რომელსაც „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;
- ბ) **პოტენციური ბენეფიციარი** – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც პროგრამაში მონაწილეობის მიზნით წარადგენს განაცხადს;
- გ) **ბენეფიციარი** – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთანაც გაფორმებულია სამმხრივი ხელშეკრულება;
- დ) **ხელშეკრულება** – სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;
- ე) **სამმხრივი ხელშეკრულება** – სააგენტოს, ბენეფიციარსა და მომწოდებელს (პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში ახორციელებს საჭირო საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას) შორის გაფორმებული ხელშეკრულება დანართ №3-ით გათვალისწინებული აღჭურვილობის შესყიდვაზე;
- ვ) **იჯარის ხელშეკრულება** – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბითა და საძოვრით სარგებლობის შესახებ;
- ზ) **რძის გადამამუშავებელი საწარმო** – ამ პროგრამის მიზნებისთვის, ნედლი რძის გადამამუშავებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობით;
- თ) **აღჭურვილობა** – ამ პროგრამის დანართებით: №2-ით, №3-ით, №4-ითა და №5-ით



გათვალისწინებული ტექნიკა, დანადგარები და აღჭურვილობა;

ო) **სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბი** – სათიბი, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში იჯარით გადაეცემა ბენეფიციარს;

პ) **სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვარი** – საძოვარი, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში იჯარით გადაეცემა ბენეფიციარს;

ლ) **ნედლი რძე** – რძე, რომელსაც არ გაუვლია 40<sup>0</sup> C -ზე მაღალ ტემპერატურაზე თერმული (თბური) დამუშავება, ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც მისი შემადგენელი კომპონენტ(ებ)ის ცვლილებას გამოიწვევს;

მ) (ამოღებულია - 05.10.2018, №483);

ნ) **ლაქტაციის პერიოდი** – წველადობის პერიოდი, რომელიც იწყება ხბოს მოგებისას და სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 305 დღეს;

ო) **დეკეული** – უშობელი პირველი ხბოს მოგებადღე;

პ) **მაღალმთიანი დასახლება** – „მაღალმთიანი დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით განსაზღვრული მაღალმთიანი დასახლება;

ჟ) **პასიური მუნიციპალიტეტი** – ის მუნიციპალიტეტი, რომლიდანაც ამ პროგრამის ფარგლებში არ დაკმაყოფილებულა არცერთი განაცხადი.

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 26.07.2017წ.*

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №570 – ვებგვერდი, 28.12.2017წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №483 – ვებგვერდი, 09.10.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №538 – ვებგვერდი, 14.11.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

#### **მუხლი 4. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი თანადაფინანსება და სახელმწიფო შესყიდვები**

1. პროგრამის ფარგლებში სააგენტო განახორციელებს:

ა) დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობის სახელმწიფო შესყიდვას, ამ დანართის შესაბამისად;

ბ) დანართ №3-ით გათვალისწინებული ტექნიკის 90%-იან თანადაფინანსებას, არა უმეტეს 60,000 ლარისა ერთ ბენეფიციარზე;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბეთსა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კოთელიის ადმინისტრაციულ ერთეულში რძის გადამამუშავებელი საწარმოების ასაშენებლად საჭირო საპროექტო მომსახურების, სამშენებლო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას.

2. დანართ №4-ითა და დანართ №5-ით გათვალისწინებული შესყიდული აღჭურვილობის სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის (შემდგომში – ქონების ეროვნული სააგენტო) გადაცემას უზრუნველყოფს შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“.

3. დანართ №4-ით გათვალისწინებული აღჭურვილობა გადაეცემათ ამ პროგრამის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, ხოლო დანართ №5-ით გათვალისწინებული აღჭურვილობა გადაეცემა ყველა ბენეფიციარს, გარდა პროგრამის მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. აღჭურვილობის საკუთრებაში გადაცემა ხდება მისი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შედეგად დაფიქსირებული სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობის საპრივატიზებო თანხის გადახდის სანაცვლოდ, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რისთვისაც ქონების ეროვნული სააგენტო



უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 26.07.2017წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №483 - ვებგვერდი, 09.10.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №538 - ვებგვერდი, 14.11.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ნოემბრის დადგენილება №574 – ვებგვერდი, 29.11.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.

## **მუხლი 5. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი პირობები**

1. პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენისას აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა) (ამოღებულია - 16.08.2019, №389);

ბ) მეპაიეთა რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 11-ს ან თუ მეპაიეები არიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ამ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეპაიეთა რაოდენობა ჯამურად შეადგენს არანაკლებ 11-ს ისე, რომ ერთი ფიზიკური პირი, რომელიც რამდენიმე კოოპერატივის წევრია, ჩაითვლება ერთ მეპაიედ. მეპაიე, რომელსაც მფლობელობაში არ გააჩნია ან საპაიო ფონდში არ შეუტანია ფური ან/და დეკეული, მეპაიეთა საერთო რაოდენობაში არ ჩაითვლება;

გ) ყველა მეპაიე რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში, ხოლო ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არანაკლებ 11 მეპაიე, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში, რომელიც მიეკუთვნება იმ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელშიც რეგისტრირებულია პოტენციური ბენეფიციარი;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და მისი მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და ამავე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეპაიეთა მფლობელობაში არსებული ფურების ან/და დეკეულების რაოდენობა ჯამურად შეადგენს არანაკლებ 200 სულს, გარდა ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა და იდენტიფიცირებულია სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ;

დ<sup>1</sup>) თუ ფურები ან/და დეკეულები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და ამავე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეპაიე ფიზიკურ პირთა მფლობელობაშია, ეს მეპაიეები რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელშიც რეგისტრირებულია პოტენციური ბენეფიციარი;

ე) იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ან მიიღებენ „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამაში, პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა გაზარდონ არსებული ფურების რაოდენობა არანაკლებ 200 ფურით ან/და დეკეულით;

ვ) მსხვილფეხა საქონლის სადგომი/დროებითი სადგომი რეგისტრირებულია სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ;

ზ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში;

თ) არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება;

ი) არ არის აღრიცხული მოვალეთა რეესტრში;

კ) შერჩეული აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარის უფლებით მისაღები სათიბი ან საძოვარი ან ორივე ერთად ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე არანაკლებ 1,5 ჰექტარისა და არა უმეტეს 4 ჰექტარისა, რომლებიც რეგისტრირებულია იმავე მუნიციპალიტეტში, სადაც რეგისტრირებულია პოტენციური ბენეფიციარი;

ლ) ამ პროგრამით განსაზღვრული სათიბი ან/და საძოვარი ბენეფიციარზე იჯარით გაიცემა მხოლოდ იმ



ფურცლის ან/და დეკულების რაოდენობის მიხედვით, რომელთა მფლობელი რეგისტრირებულია იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც რეგისტრირებულია პოტენციური ბენეფიციარი ან/და რომელიც პოტენციური ბენეფიციარის მფლობელობაშია;

მ) (ამოღებულია - 16.08.2019, №389).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების დასადასტურებლად პოტენციურმა ბენეფიციარმა რეგისტრაციისას სააგენტოს უნდა წარუდგინოს:

ა) ცნობა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და მისი მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და ამავე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეპაიეთა მფლობელობაში არსებული:

ა.ა) ფურცლის ან/და დეკულების შესახებ;

ა.ბ) მსხვილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (მიწის საკადასტრო კოდი და აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი);

გ) ცნობა სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არქონის თაობაზე;

დ) ცნობა სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროდან მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;

ე) პოტენციური ბენეფიციარის მეპაიეთა რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი პიროვნების რეგისტრაციის შესახებ;

ვ) წევრთა რეესტრის ასლი;

ზ) საერთო კრების ოქმი პროგრამაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე.

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 26.07.2017წ.  
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ნოემბრის დადგენილება №496 – ვებგვერდი, 16.11.2017წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №483 - ვებგვერდი, 09.10.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **მუხლი 6. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №483 - ვებგვერდი, 09.10.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **მუხლი 7. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბებისა და საძოვრების იჯარით გადაცემის წესი და პირობები**

1. პროგრამის ფარგლებში იჯარის უფლებით გაიცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბი და საძოვარი, ამ მუხლით დადგენილი წესითა და პირობებით, აუქციონის გარეშე, საქართველოს მთავრობის თანხმობით.

2. ბენეფიციართან ხელშეკრულების გაფორმებამდე სააგენტო განმცხადებლის მიერ რეგისტრაციისას წარდგენილ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციასა (მიწის საკადასტრო კოდი და აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი) და პოტენციური ბენეფიციარის მეპაიეთა რაოდენობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას წარუდგენს ქონების ეროვნულ სააგენტოს, ამავე სათიბისა და საძოვრის პროგრამის ფარგლებში იჯარის უფლებით გაცემის საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიცირების შესაძლებლობის დადგენის მიზნით.

2<sup>1</sup>. იმ შემთხვევაში, თუ სათიბის ან/და საძოვრის პოტენციური ბენეფიციარისთვის/ბენეფიციარისთვის



გადაცემის თაობაზე ქონების ეროვნული სააგენტო საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიცირების შესაძლებლობის დადგენის შესახებ მიაწვდის სააგენტოს უარყოფით მოსაზრებას, სააგენტო პოტენციურ ბენეფიციარს/ბენეფიციარს ამავე პროგრამით დადგენილი ფართობების ფარგლებში სხვა სათიბის ან/და საძოვრის მოსაძიებლად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა. თუ პოტენციური ბენეფიციარი/ბენეფიციარი ვერ მოიძიებს სათიბს ან/და საძოვარს, სააგენტო უფლებამოსილია, ამ პოტენციური ბენეფიციარისთვის/ბენეფიციარისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა გადასცეს სხვა პოტენციურ ბენეფიციარს/ბენეფიციარს, ამ პროგრამით დადგენილი წესით.

3. ბენეფიციარსა და სააგენტოს შორის ხელშეკრულება ფორმდება ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პოტენციური ბენეფიციარის მიერ მოძიებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის პროგრამის ფარგლებში იჯარის უფლებით გადაცემის საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიცირების შესაძლებლობის საკითხის შეთანხმების შემდგომ.

4. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის იჯარის უფლებით მიღების მიზნით, პროგრამის ბენეფიციარი შესაბამისი განაცხადით, სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის ბენეფიციარისთვის გადაცემის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობითა და იჯარის უფლებით გადასაცემი სათიბისა და საძოვრის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით მიმართავს ქონების ეროვნულ სააგენტოს.

5. პროგრამით განსაზღვრული პირობებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის იჯარით გადასაცემად, სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

6. პროგრამის მონაწილეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, იჯარით გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბი და საძოვარი შემდეგი პირობებით:

ა) იჯარის ვადა – 25 წელი. თუ სათიბი ან/და საძოვარი ეკუთვნის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ ტერიტორიას, იჯარის ვადა შეადგენს 10 წელს. მონაწილე უფლებამოსილია, იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ხელახლა მოითხოვოს მისთვის სათიბ-საძოვრების სარგებლობაში გადაცემა ამ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის იჯარის წლიური ღირებულება – იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველ და მეორე წელს 1 ჰა-ზე 1 ლარი, მესამე და შემდგომ წლებში 1 ჰა-ზე 15 ლარი;

გ) იჯარის უფლების მესამე პირისთვის დათმობა/უფლებრივად დატვირთვა, ქვეიჯარით გაცემა დაუშვებელია.

7. იჯარის საფასურის გადახედვა შესაძლებელია 5 წელიწადში ერთხელ, რომელიც, როგორც სათიბის, ისე საძოვრის შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის წლიურ საწყის საფასურს.

8. ამ პროგრამაში ჩართულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სათიბებამდე და საძოვრებამდე გზის მიყვანას განხორციელებენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და შესაბამისი მუნიციპალიტეტები.

9. თუ პოტენციური ბენეფიციარის მიერ რეგისტრაციისას სააგენტოსათვის წარდგენილი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის იჯარით გადაცემა შეუძლებელია, ქონების ეროვნული სააგენტო, ბენეფიციართან შეთანხმებით, უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის ჩანაცვლებას ან/და კორექტირებას ამ პროგრამით დადგენილი ფართობების ფარგლებში.



10. თუ სათიბი ან/და სამოვარი ეკუთვნის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ ტერიტორიას ან/და საქართველოს ტყის კოდექსის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ტერიტორიას, მათი ტყითსარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება ამ პროგრამით, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებითა და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

11. თუ სათიბი ან/და სამოვარი ეკუთვნის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ ტერიტორიას, სააგენტო პოტენციური ბენეფიციარის მიერ რეგისტრაციისას წარდგენილ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და სამოვრის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას (მიწის საკადასტრო კოდი და აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი) წარუდგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოს, რომელიც საკითხის ინიცირებას ახდენს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს წინაშე. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანხმობის შემთხვევაში, პოტენციურ ბენეფიციარს/ბენეფიციარსა და სააგენტოს შორის ფორმდება ხელშეკრულება და პოტენციური ბენეფიციარი/ბენეფიციარი მიმართავს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს იჯარის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი პირობების შესაბამისად.

12. თუ სათიბი ან/და სამოვარი ეკუთვნის საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრულ ტერიტორიას, სააგენტო პოტენციური ბენეფიციარის მიერ რეგისტრაციისას წარდგენილ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და სამოვრის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი და აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი) წარუდგენს სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს, ამავე სათიბისა და სამოვრის პროგრამის ფარგლებში ტყით სარგებლობის უფლებით გაცემის საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიცირების შესაძლებლობის დადგენის მიზნით. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ბენეფიციარსა და სააგენტოს შორის ფორმდება ხელშეკრულება და ბენეფიციარი მიმართავს სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით.

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №570 – ვებგვერდი, 28.12.2017წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №483 - ვებგვერდი, 09.10.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ივლისის დადგენილება №319 – ვებგვერდი, 09.07.2019წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **მუხლი 8. პროგრამის ფარგლებში რძის გადამამუშავებელი საწარმოების აშენება და მონაწილეთათვის გადაცემა**

1. პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს მიერ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბეთსა (ხადიკსა) და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კოთელიის ადმინისტრაციულ ერთეულში აშენდება რძის გადამამუშავებელი საწარმოები და დაკომპლექტდება დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობით. რძის გადამამუშავებელი საწარმოს შენობა-ნაგებობების ფართობები შეადგენს არაუმეტეს 600 მ<sup>2</sup>-ს.

2. სააგენტოს მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რძის გადამამუშავებელი საწარმოების აშენების მიზნით, ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მოძიება, რომელთა ფართობი შეადგენს 1 ჰექტარს.

3. (ამოღებულია - 16.08.2019, №389).

4. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ფართობების შესაბამისი მიწის ნაკვეთები არ არის რეგისტრირებული სახელმწიფო საკუთრებაში და არ გააჩნიათ შესაბამისი საკადასტრო კოდი, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯს გაწევს სააგენტო.

5. დმანისის, წალკისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში რძის გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობის დასრულებისა და დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობით დაკომპლექტების შემდეგ, მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა, აღჭურვილობასთან



ერთად, პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“ ქვეპუნქტებითა და ამ პუნქტით განსაზღვრულ შემდეგ პირობებს:

ა) მეპაიეთა რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს;

ბ) პოტენციური ბენეფიციარის მეპაიე თითოეულ კოოპერატივს ან/და მათ მეპაიეებს (ერთობლივად) საკუთრებაში ჰყავთ არანაკლებ 200 სული ფური/დეკეული.

6. (ამოღებულია - 16.08.2019, №389).

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზებისას საპრივატიზებო თანხა შეადგენს რძის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობისა და დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შედეგად დაფიქსირებული სახელშეკრულებო ღირებულების 25%-ს, რომლის გადახდა ხდება 8 წლის განმავლობაში, შემდეგი გრაფიკით: პირველ წელს – 0,5%, მე-2 წელს – 1.5%, მე-3 წელს – 4%, მე-4 წელს – 7%, მე-5 წელს – 12%, მე-6 წელს – 18%, მე-7 წელს – 25% და მე-8 წელს – 32%.

8. რძის გადამამუშავებელი საწარმოების წყლით უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელებენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და შესაბამისი მუნიციპალიტეტები.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული საწარმოების ტერიტორიაზე მწვანე საფარის მოწყობას უზრუნველყოფს სსიპ – ეროვნული საშენი მეურნეობა.

10. გარდა დანართ №2-ით გათვალისწინებული აღჭურვილობისა, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბენეფიციარებს გადაეცემათ დანართ №4-ით გათვალისწინებული აღჭურვილობა მისი ღირებულების 10%-ად, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

11. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დასადასტურებლად პოტენციური ბენეფიციარის მიერ სააგენტოსათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას, წარდგენის ფორმასა და ვადას განსაზღვრავს სააგენტო.

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 26.07.2017წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №538 - ვებგვერდი, 14.11.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ნოემბრის დადგენილება №574 – ვებგვერდი, 29.11.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ივლისის დადგენილება №319 – ვებგვერდი, 09.07.2019წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **მუხლი 9. მონაწილისათვის დანართ №3-ითა და დანართ №5-ით გათვალისწინებული აღჭურვილობის გადაცემის წესი და პირობები**

1. პროგრამის მონაწილეებს (გარდა მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა) მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, 10%-იანი თანადაფინანსებით, გრანტის სახით გადაეცემათ დანართ №3-ითა და დანართ №5-ით გათვალისწინებული აღჭურვილობა.

2. ერთ მუნიციპალიტეტში ერთი წლის განმავლობაში დაკმაყოფილდება ერთი განაცხადი. ერთი მუნიციპალიტეტიდან ორი ან მეტი განაცხადის დაფიქსირების შემთხვევაში, პირველ რიგში დაკმაყოფილდება იმ კოოპერატივის განაცხადი, რომლის მეპაიეთა საერთო რაოდენობიდან უფრო მეტი მეპაიეა რეგისტრირებული იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელშიც რეგისტრირებულია პოტენციური ბენეფიციარი. თუ ასეთი მეპაიეების რაოდენობა ერთმანეთის ტოლია ან თუ გაკეთებული განაცხადების რაოდენობა აჭარბებს პროგრამისათვის მიმდინარე წელს განკუთვნილი ბიუჯეტის ოდენობას, მაშინ განაცხადები დაკმაყოფილდება უხარვეზო განაცხადების რიგითობის მიხედვით, პროგრამისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის ამოწურვამდე.

2<sup>1</sup>. მუნიციპალიტეტ(ებ)ში (გარდა მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ერთზე მეტი განაცხადის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა





მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი განაცხადი დაკმაყოფილდა (ან არ დაკმაყოფილდა ხარვეზის გამო) და პროგრამისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში შესაძლებელია დამატებით ახალი განაცხადების დაკმაყოფილება. ამ შემთხვევაში, განაცხადების დაკმაყოფილებისას დაცული იქნება რიგითობა ისე, რომ მუნიციპალიტეტებში განაცხადების დაკმაყოფილებისას პროგრამაში ჩასართავი პოტენციური ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა მოხდება თანაბარი (პროპორციული) პრინციპით.

2<sup>2</sup>. (ამოღებულია - 16.08.2019, №389).

2<sup>3</sup>. (ამოღებულია - 16.08.2019, №389).

3. (ამოღებულია - 16.08.2019, №389).

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 26.07.2017წ.  
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ნოემბრის დადგენილება №496 – ვებგვერდი, 16.11.2017წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №483 - ვებგვერდი, 09.10.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №538 - ვებგვერდი, 14.11.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **მუხლი 10. მონაწილის მიერ პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებები**

1. ამ პროგრამის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია, 8 წლის განმავლობაში:

ა) არ დაუშვას ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული აღჭურვილობის გასხვისება;

ბ) არ დაუშვას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა რაოდენობის შემცირება;

გ) შეინარჩუნოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

დ) (ამოღებულია - 16.08.2019, №389);

ე) (ამოღებულია - 16.08.2019, №389);

ვ) 2020 წლის 1 იანვრიდან უზრუნველყოს ყოველწლიურად ფურების ან/და დეკეულების საწყისი რაოდენობის გაზრდა არანაკლებ 10%-ით ისე, რომ 2026 წელს ფურების ან/და დეკეულების რაოდენობა გაორმაგდეს (გარდა მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);

ზ) (ამოღებულია - 05.10.2018, №483);

თ) (ამოღებულია - 16.08.2019, №389).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები წარმოადგენს, როგორც ხელშეკრულების, ისე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და სამოვრის სარგებლობის პირობებსა და რძის გადამამუშავებელი საწარმოს პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას საპრივატიზებო პირობებს.

3. ამ პროგრამის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მონაწილე სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 წლის განმავლობაში ვალდებულია:

ა) არ დაუშვას ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული აღჭურვილობის გასხვისება;

ბ) არ დაუშვას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა რაოდენობის შემცირება;

გ) შეინარჩუნოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

დ) (ამოღებულია - 16.08.2019, №389);



ე) უზრუნველყოს ფურების ან/და დეკულების საწყისი რაოდენობის გაორმაგება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები წარმოადგენს როგორც ხელშეკრულების, ისე ქონების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ან სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და მონაწილეს შორის გაფორმებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და სამოვრის სარგებლობის პირობებს.

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 26.07.2017წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №483 - ვებგვერდი, 09.10.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **მუხლი 10<sup>1</sup>. თანადაფინანსების გაცემის პროცედურა**

განაცხადის მიღების, განხილვის, თანადაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს სააგენტო.

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **მუხლი 11. მონიტორინგი**

1. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო, მის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. ბენეფიციარმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად უნდა წარადგინოს სსიპ – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა საინვესტიციო ღირებულების მიზნობრივად ხარჯვასა და მიზნობრიობის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია და თან უნდა ახლდეს ფულადი სახსრების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლ(ებ)ი (საგადახდო დავალება ან/და სალაროს ჩეკი).

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **მუხლი 12. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **მუხლი 13. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **დანართი №1 (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 26.07.2017წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №483 - ვებგვერდი, 09.10.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ივლისის დადგენილება №319 – ვებგვერდი, 09.07.2019წ.*

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №389 – ვებგვერდი, 20.08.2019წ.*

## **დანართი №2**

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 26.07.2017წ.*

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №402 – ვებგვერდი, 17.08.2017წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №483 - ვებგვერდი, 09.10.2018წ.*

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ივლისის დადგენილება №319 – ვებგვერდი, 09.07.2019წ.*



10 ტონა რძის საწარმოს აღჭურვილობა	რაოდენობა	შესყიდვის წელი
ელექტროსასწორი (1000 ლიტრი)	1	
რძის გამაცივებელი რეზერვუარი (2500 ლიტრი)	2	
რძის გამაცივებელი რეზერვუარი (2000 ლიტრი)	1	
რძის ფილტრი	1	
რეზერვუარი ერთკედლიანი (2000 ლიტრი)	1	
ყველის სახარში აბაზანა ორთქლით გაცხელებით (1000 ლიტრი)	2	
შრატის ავზი, ორთქლით გაცხელებით (2000 ლიტრი)	2	
საწნეხი ურიკა 2 სექციით (1000 ლიტრი)	2	
ყველის ფორმები (უჟანგავი ლითონის)	120	
სასულგუნე მასის მოსაზელი დანადგარი	1	
ყველის დასაყოვნებელი თაროები 5-იარუსიანი, 1 იარუსი: 1000 X 750 მმ	60	
დასაყოვნებელი ავზები (2200 X 900 X 1000 მმ)	12	
ყველის გადასატანი ურიკა	2	
პასტერიზატორი ნაკადური მოქმედების (1000 ლ/სთ)	1	
ყინულოვანი წყლის გენერატორი	1	
სეპარატორი ნაღების მომხდელი (3000 ლ/სთ)	1	
ნაღების მოსამწიფებელი აბაზანა შემრევით (500 ლიტრი)	1	
კარაქის სადღვები (200 კგ)	1	
კარაქის მექანიკური დამუშავების (ფორმირების) დანადგარი	1	
ჰომოგენიზატორი (1200 ლ/სთ)	1	
შუალედური ავზი რძის ჩამოსასხმელი ხაზისთვის, კედლიანი (1000 ლიტრი)	1-1	



რძის ჩამოსასხმელი კომბინირებული ტექნოლოგიური ხაზი (1500 ლ/სთ): პოლიეთილენის ბოთლების ტრანსპორტიორი, დოზატორი, ბოთლების სტერილიზატორი, მარკირების ლაზერული დანადგარი, ქილების მოსახუფი დანადგარი, შემგროვებელი მაგიდა	1
GIP რეცხვის სისტემა (3 რეზერვუარი, თითო 500 ლიტრი)	1
რძის ტუმბო (5000 ლ/სთ)	5
რძის ტუმბო თვითშემწოვი (3000 ლ/სთ)	1
მაცივარი 0; -18 (კონტეინერი 500 ლიტრი)	1
უქანგავი ფოლადის სამუშაო მაგიდა (2000 X 800 X 850 მმ)	3
სასწორი (200 კგ)	1
სასწორი ეტიკეტირების ფუნქციით (15 კგ)	1
პოლიეთილენის აპკში შესაფუთი დანადგარი	1
ურიკა პალეტებისთვის	1
რძის ანალიზატორი	2
PH-მეტრი	1
სამრეწველო არმატურა (უქანგავი ლითონის მილები)	250 მეტრი
ორთქლის წარმომქმნელი დანადგარი (400 კგ/სთ)	1
<b>საწარმოო დანიშნულების ავტომანქანები</b>	
რძის მზიდი, ცისტერნა 3 სექციით, თითო სექცია 2 ტონა	1
სადისტრიბუციო ავტომანქანა რეფრეჟერატორით	1
სილოსის შესაფუთი დანადგარი	1
სილოსის დამქუცმაცებელ-დამტვირთავი აგრეგატი	1
<b>საოფისე აღჭურვილობა</b>	
კომპიუტერი	3
პრინტერი	2
კარადა	3
მაგიდა	4
ტუმბო	4
სკამი	20

2018-2019



საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის დადგენილება №360 – ვებგვერდი, 26.07.2017წ.  
 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №402 – ვებგვერდი, 17.08.2017წ.  
 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 12.04.2018წ.  
 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ივლისის დადგენილება №319 – ვებგვერდი, 09.07.2019წ.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	შესყიდვის წელი
<p>გუთანის 3-კორპუსიანი; საკიდი, ჩარჩოთი, განკუთვნილი ქვიან და მძიმე ნიადაგებში სამუშაოდ; კორპუსების რიცხვი: 3; გუთანის აღჭურვილი: წინმხვნელებით, ბელტის გადამწვენითა და საცვლელი სატეხით; სამუშაო სიღრმე: არანაკლებ 25 სმ-ისა; ერთი კორპუსის მოდების განი: არანაკლებ 35 სმ-ისა; მართკუთხა ჩარჩოს შემთხვევაში: კედლის სისქე არანაკლებ 8 მმ-ისა; საკიდი სისტემა:</p> <p>3-წერტილიანი, მე-2 კატეგორია; გუთანის აღჭურვილი: სიღრმის მარეგულირებელი თვალით; მასა: არანაკლებ 350 კგ-ისა; ტექნიკის აღწერილობის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენებზე, სათადარიგო ნაწილების კატალოგი ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენაზე; სათადარიგო ნაწილები: კორპუსის დამცავი ელემენტები: ჭანჭიკები 6 ცალი, საცვლელი სატეხები: 6 ცალი; გარანტია: არანაკლებ 12 თვისა</p>	<p>2017 - 2019</p>
<p>სათიბელა სეგმენტური; მოდების განი: არანაკლებ 2000 მმ-ისა; ჭრის სიმაღლე რეგულირებადი, მინიმალური არა უმეტეს 6 სმ-ისა; სამუშაო ორგანოების აძვრა: ტრაქტორის სიმძლავრის ამრთმევი ლილვიდან (540 ან 1000 ბრ/წთ); აკეცვის მექანიზმი: ჰიდრავლიკური; საკიდი სისტემა: სამწერტილიანი, მე-2 კატეგორია; გარეთა ქუსლზე უნდა ჰქონდეს ღვარეულის სიგანის მარეგულირებელი დაფა;</p> <p>სათადარიგო ნაწილები: ერთი ცალი მთლიანად აწყობილი ცელი, 10 ცალი სეგმენტი, 50 ცალი მოქლონი; სათიბელას აღწერილობის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო, ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენებზე, სათადარიგო ნაწილების კატალოგი ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენებზე; გარანტია: ექსპლუატაციაში შესვლიდან არანაკლებ 12 თვისა</p>	<p>2017 - 2019</p>
<p>სათიბელა როტაციული, მოდების განი: არანაკლებ 2000 მმ-ისა; ტიპი: როტაციული (დისკებიანი); დისკების რიცხვი: მოდების განის მიხედვით; ჭრის სიმაღლე რეგულირებადი, მინიმალური არა უმეტეს 6 სმ-ისა; სამუშაო ორგანოების აძვრა: ტრაქტორის სიმძლავრის ამრთმევი ლილვიდან (540 ან 1000 ბრ/წთ); აკეცვის მექანიზმი: ჰიდრავლიკური; საკიდი სისტემა: 3-წერტილიანი, მე-2 კატეგორია (უკან გვერდითი); მჭრელი აპარატი აღჭურვილი უსაფრთხოების დამცავი შალითით; ტექნიკის აღწერილობის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო, ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენებზე, სათადარიგო ნაწილების კატალოგი ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენაზე; სათადარიგო ნაწილები: საჭრელი დანები 10 ერთეული; საგარანტიო ვადა: არანაკლებ 12 თვისა</p>	<p>2017 - 2019</p>
<p>უნივერსალური ფოცხი; მოდების განი: არანაკლებ 4 მ-ისა; შესასრულებელი სამუშაოები: მოფოცხვა-ღვარეულების გაკეთება,</p>	



<p>მოთიბული ზოლების და ღვარეულების გადაბრუნება; ბორბალ-თითების რაოდენობა: მოდების განის მიხედვით; ტრაქტორთან აგრეგატირება: საკიდი ან ნახევრად საკიდი; საკიდი სისტემა:</p> <p>3-წერტილიანი, მე-2 კატეგორია; ტექნიკის აღწერილობის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო, ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენებზე, სათადარიგო ნაწილების კატალოგი ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენაზე; გარანტია: არანაკლებ 12 თვისა</p>	<p>2017 - 2019</p>
<p>მოთიბული მასის ამკრებ-დამწნეხი; მოდების განი: არანაკლებ 1500 მმ-ისა; ბარდანისტიპი: მართკუთხა; ბარდანის განივი კვეთის ზომები: არანაკლებ 360X 460 მმ-ისა; ბარდანის სიგრძე რეგულირებადი: 800 მმ-დან 1300 მმ-მდე; ბარდანის საშუალო მასა: 20-35 კგ; ამკრის სისტემა: ტრაქტორის ძალამრთმევი ლილვი; კარდანიული გადაცემა დამცავი ქუროთი; ტექნიკის აღწერილობის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო, ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენებზე, სათადარიგო ნაწილების კატალოგი ინგლისურ, ქართულ ან რუსულ ენაზე; სათადარიგო ნაწილები: ნემსები 2 ერთეული, ამკრეფი თითები 10 ერთეული, დგუშის დამცავი თითები 10 ერთეული; გარანტია: არანაკლებ 12 თვისა</p>	<p>2017 - 2019</p>
<p>მისაბმელი ტვირთის ტრანსპორტირებისთვის; თვითმცლელი, ტვირთის დაცლა ჰიდრავლიკური, 3 გვერდიდან; ღერძების რაოდენობა: 2; დაკიდების სისტემა: რესორული; მისაბმელის მასა: არანაკლებ 1600 კგ-ისა, არა უმეტეს 1900 კგ-ისა; ტვირთამწეობა: არანაკლებ 4000 კგ-ისა, არა უმეტეს 4500 კგ-ისა; გადაადგილების სიჩქარე: არანაკლებ 25 კმ/სთ-ისა; ნაკვალევის სიგანე: არანაკლებ 1800 მმ-ისა; ელექტროსისტემა: 12 ვოლტი ძაბვის მუდმივი დენის წყარო ტრაქტორიდან; სამუშაო სამუხრუჭე სისტემა: ჰიდრავლიკური, მწარმოებლის სტანდარტით; სამუხრუჭე სისტემა დგომის დროს: მექანიკური, ხელის ბერკეტით; ძარა: დამზადებული ფოლადის პროფილური ფურცლებით, კოროზიისგან სრულად დაცული, აღჭურვილი დამატებითი გვერდებით ან მეტალის ბადის გვერდებით; მისაბმელის პლატფორმის აწევის კუთხე ტვირთის უკან დაცლისას: არანაკლებ 50<sup>0</sup>-ისა; მისაბმელის პლატფორმის აწევის კუთხე ტვირთის გვერდებიდან დაცლისას: არანაკლებ 45<sup>0</sup>-ისა; ძარას მოცულობა დამატებითი გვერდების გარეშე: არანაკლებ 5 მ<sup>3</sup>-ისა; ძარას მოცულობა დადგმული გვერდებით ან მეტალის ბადის გვერდებით: არანაკლებ 10 მ<sup>3</sup>-ისა; მისაბმელის სიგრძე: არა უმეტეს 6 მ-ისა;</p> <p>მისაბმელის სიგანე: არანაკლებ 2.5 მ-ისა; ხელსაწყო ინსტრუმენტების სრული კომპლექტი და სათადარიგო საბურავი დისკით; ტექნიკის აღწერილობის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენებზე, სათადარიგო ნაწილების კატალოგი ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენებზე; გარანტია: არანაკლებ 12 თვისა</p>	<p>2017- 2019</p>
<p><b>რაოდენობა</b></p>	<p>39</p>





სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	შესყიდვის წელი	შესყიდვის წელი
<p>ტრაქტორი არანაკლებ 60 ც/მ (44 კვტ), სიმძლავრის; აღჭურვილი ჰაერის კომპრესორით; გაგრილების სისტემა: სითხით გაგრილება (ანტიფრიზით); საწვავის ტიპი: დიზელი; ძრავის ტიპი: ევრო/Stage 3 ან ევრო/Stage 4; სავალინაწილი: თელიანი, 4X4; გადაცემათა კოლოფი: მწარმოებლის სტანდარტი; გადაცემათა რიცხვი წინ: მწარმოებლის სტანდარტი; გადაცემათა რიცხვი უკან: მწარმოებლის სტანდარტი; მაქსიმალური სიჩქარე: არანაკლებ 25 კმ/სთ; მინიმალური სიჩქარე არაუმეტეს 2 კმ/სთ; უკანა საკიდი სისტემა: 3 წერტილიანი, კატეგორია მე-2, სატრანსპორტო საშუალების ჩასაბმელი მოწყობილობით; სიმძლავრის ამრთმევი ლილვი (უკანა): I ბიჯი: არანაკლებ 540 ბრ/წთ, II ბიჯი: არანაკლებ 1000 ბრ/წთ; საგზაო საშუქი არაუმეტეს 450 მმ; ღარების (შლიცი) რაოდენობა: 6 (დამატებით კომპლექტაციაში: 1 ერთეული 8 ღარიანი); ტრაქტორის მინიმალური საექსპლუატაციო მასა (ბალასტების გარეშე): არანაკლებ 2400 კგ; დამატებით აღჭურვილი ბალასტებით წინ ჩარჩოზე არანაკლებ 150 კგ, უკანათვლებზე: მწარმოებლის სტანდარტი; თვლებს შორის მანძილი (ნაკვალევი) რეგულირებადი: წინათვლებზე მწარმოებლის სტანდარტი, უკანა რეგულირებადი მაქსიმალური ნაკვალევი (უკანა საბურავებს ცენტრებს შორის მანძილი) არანაკლები 1700 მმ; ასევე უნდა ქონდეს უკანა თვლებზე შეწყვილების შესაძლებლობა, დამატებითი ორი საბურავით და დისკებით; კაბინა: ერგონომიული, სარკმლის გაღების შესაძლებლობით, აღჭურვილი: ოპერატორის დამცავი ROPS/FOPS უსაფრთხოების სისტემით, უკანახედვის სარკეებით, ღამით სამუშაოდ წინა და უკანა დამატებითი ფარებით, ვენტილაციით, გათბობის სისტემით და ცეცხლმაქრით; უკანა ჰიდრავლიკური სარქველები მისაბმელების სამუხრუჭე სისტემისათვის; ჰიდრავლიკური დომკრატი, ხელსაწყო-ინსტრუმენტების ნაკრები (მწარმოებლის სტანდარტი), ტრაქტორის აღწერილობის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ინსტრუქცია ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენებზე, სათადარიგო ნაწილების კატალოგი ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენაზე; საგარანტიო ვადა: არანაკლებ 1000 მოტო-საათიან 12 თვე; პირველი სარეგლამენტო მომსახურება შედის მოწოდების ღირებულებაში.</p>	2017	2018
რაოდენობა	1	3

დანართი №5

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	შესყიდვის წელი
<p>ტრაქტორი არანაკლებ 80 ც/მ (58.8 კვტ) სიმძლავრის; აღჭურვილი ჰაერის კომპრესორით; გაგრილების სისტემა: სითხით გაგრილება (ანტიფრიზით); საწვავის ტიპი: დიზელი; ძრავის ტიპი: ევრო/Stage 3 ან ევრო/Stage 4; სავალინაწილი: თელიანი, 4X4; გადაცემათა კოლოფი: მწარმოებლის სტანდარტი; გადაცემათა რიცხვი წინ: მწარმოებლის სტანდარტი; გადაცემათა რიცხვი უკან: მწარმოებლის სტანდარტი; მაქსიმალური სიჩქარე: არანაკლებ 25 კმ/სთ; მინიმალური სიჩქარე არაუმეტეს 2 კმ/სთ; უკანასაკიდი სისტემა: 3 წერტილიანი, კატეგორია მე-2, სატრანსპორტო საშუალების ჩასაბმელი მოწყობილობით; სიმძლავრის ამრთმევი ლილვი (უკანა): I ბიჯი: არანაკლებ 540 ბრ/წთ., II ბიჯი: არანაკლებ 1000 ბრ/წთ; საგზაო საშუქი არაუმეტეს 480 მმ; ღარების (შლიცი) რაოდენობა: 6 (დამატებით კომპლექტაციაში: 1 ერთეული 8 ღარიანი); ტრაქტორის მინიმალური საექსპლუატაციო მასა (ბალასტების გარეშე): არანაკლებ 3400 კგ; დამატებით აღჭურვილი ბალასტებით წინ ჩარჩოზე არანაკლებ 200 კგ, უკანათვლებზე: მწარმოებლის სტანდარტი; თვლებს შორის მანძილი (ნაკვალევი) რეგულირებადი: წინა თვლებზე მწარმოებლის სტანდარტი, უკანა რეგულირებადი მაქსიმალური ნაკვალევი (უკანა საბურავებს ცენტრებს შორის მანძილი) არანაკლები 1800 მმ; ასევე უნდა ქონდეს უკანა თვლებზე შეწყვილების შესაძლებლობა, დამატებითი ორი საბურავით</p>	2018



და დისკებით; კაბინა: ერგონომიული, სარკმლის გაღების შესაძლებლობით, აღჭურვილი: ოპერატორის დამცავი ROPS/FOPS უსაფრთხოების სისტემით, უკანა ხედვის სარკეებით, ღამით სამუშაოდ წინა და უკანა დამატებითი ფარებით, ვენტილაციით, გათბობის სისტემით და ცეცხლმაქრით; უკანა ჰიდრაულიკური სარქველები მისაბმელების სამუხრუჭე სისტემისათვის; ჰიდრაულიკური დომკრატი, ხელსაწყო-ინსტრუმენტების ნაკრები (მწარმოებლის სტანდარტი), ტრაქტორის აღწერილობის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ინსტრუქცია ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენებზე, სათადარიგო ნაწილების კატალოგი ინგლისურ და ქართულ ან რუსულ ენაზე; საგარანტიო ვადა: არანაკლებ 1000 მოტო-საათიან 12 თვე; პირველი სარეგლამენტო მომსახურება შედის მოწოდების ღირებულებაში.

**რაოდენობა**

**38**

